

შპს სტაილ ტივი

**ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა**

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

**აპრილი 2024
თბილისი**

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	5
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	6
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	7
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	8
ფინანსური ანგარიშგების თანდართული განმარტებითი შენიშვნები	9
1. ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია	9
2. მომზადების საფუძველი	9
3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა	10
4. ახალი და შესწორებული სტანდარტები	14
5. ძირითადი საშუალებები	16
6. არამატერიალური აქტივი	16
7. საგადასახადო აქტივი	17
8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	17
9. ფული და ფულის ეკვივალენტები	17
10. საკუთარი კაპიტალი და რეზერვები	17
11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17
12. სესხები	18
13. შემოსავალი	18
14. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	18
15. კომერციული დანახარჯები	18
16. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	19
17. მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები და მსჯელობები	19
18. ფინანსური ინსტრუმენტები	19
19. ფინანსური რისკის მართვა	20
20. გაუთვალისწინებელი გარემოებები	21
21. დაკავშირებული მხარეები	22
22. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	23

შპს სტაილ ტივის დამფუძნებლებსა და ხელმძღვანელობას:

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს სტაილ ტივის (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლების ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის მისი ფინანსური საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (შემდგომში „მსს ფასს“).

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით), ფინანსური ანგარიშგების აუდიტის საქართველოში არსებულ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებთან ერთად, ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი და ასევე ვართ შესაბამისობაში „IESBA“ კოდექსის სხვა ეთიკურ პასუხისმგებლებთან. მიგვაჩნია, რომ აუდიტის მსვლელობისას ჩვენ მიერ მოპოვებული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობები

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მსს ფასს-ის შესაბამისად. ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დამყარების საფუძველზე იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განუზრახვლი აქვს კომპანიის ლიკვიდაცია, საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს ასე მოქცევის გარდა სხვა რეალური არჩევანი.

მმართველობაზე უფლებამოსილი პირები პასუხს აგებენ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები

შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტის პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტის მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტის პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული საადრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული საადრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები აღევკატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბებს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.

აუდიტის შემოწმების ხელმძღვანელი, რომელმაც შეადგინა წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, არის ზვიად ახვლედიანი.

ზვიად ახვლედიანი
მპს „რასელ ბედფორდ ეივისის“ სახელით
თბილისი, საქართველო

2024 წლის 30 აპრილი



შპს სტილ ტივი

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები წარმოდგენილია ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრისთვის

	შენიშვნა	31-დეკ-2023	31-დეკ-2022	1-იან-2022
<u>აქტივები</u>				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	5	14,608	2,550	-
არამატერიალური აქტივები	6	17,958	21,730	26,171
სულ გრძელვადიანი აქტივები		32,566	24,280	26,171
მოკლევადიანი აქტივები				
საგადასახადო აქტივები	7	922	8,425	7,489
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	15,987	-	2
ფული და ფულის ეკვივალენტები	9	1,438	302	195
სულ მოკლევადიანი აქტივები		18,347	8,727	7,686
სულ აქტივები		50,913	33,007	33,857
<u>კაპიტალი და ვალდებულებები</u>				
საკუთარი კაპიტალი და რეზერვები				
საწესდებო კაპიტალი	10	4,500	4,500	4,500
გაუნაწილებელი მოგება / (ზარალი)	10	(5,835)	18,937	29,357
სულ საკუთარი კაპიტალი და რეზერვები		(1,335)	23,437	33,857
გრძელვადიანი ვალდებულებები				
სასესხო ვალდებულება	12	-	8,000	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	8,000	-
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	52,248	1,442	-
სასესხო ვალდებულება	12	-	128	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		52,248	1,570	-
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		50,913	33,007	33,857

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამოწმებულია 2024 წლის 30 აპრილს

გიორგი ჯაფარიძე
დირექტორი



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნას 9-23 გვერდებზე მოცემულ ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

მპს სტაილ ტივი

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები წარმოდგენილია ლარში)

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2023 წელი	2022 წელი
შემოსავალი რეალიზაციიდან	13	90,048	-
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	14	(5,872)	(4,441)
საერთო მოგება / (ზარალი)		84,176	(4,441)
კომერციული დანახარჯები	15	(2,692)	-
ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები	16	(103,244)	(5,851)
საოპერაციო მოგება / (ზარალი)		(21,760)	(10,292)
საპროცენტო ხარჯები	12	(1,857)	(128)
მოგება / (ზარალი) დაბეგვრამდე		(23,617)	(10,420)
მოგების გადასახადი	7	(1,155)	-
პერიოდის წმინდა მოგება / (ზარალი)		(24,772)	(10,420)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
პერიოდის სრული შემოსავალი / (ზარალი)		(24,772)	(10,420)

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამოწმებულია 2024 წლის 30 აპრილს

გიორგი ჯაფარიძე
დირექტორი



მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნას 9-23 გვერდებზე მოცემულ ფინანსური ანგარიშგების
ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

შპს სტაილ ტივი

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები წარმოდგენილია ლარში)

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება**2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)	სულ
ნაშთი 2022 წლის 1-ლი იანვრისთვის	4,500	29,357	33,857
პერიოდის მოგება/(ზარალი)	-	(10,420)	(10,420)
პერიოდის მთლიანი სრული მოგება/(ზარალი)	-	(10,420)	(10,420)
გამოცხადებული დივიდენდი	-	-	-
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	4,500	18,937	23,437
პერიოდის მოგება/(ზარალი)	-	(24,772)	(24,772)
პერიოდის მთლიანი სრული მოგება/(ზარალი)	-	(24,772)	(24,772)
გამოცხადებული დივიდენდი	-	-	-
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	4,500	(5,835)	(1,335)

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნას 9-23 გვერდებზე მოცემულ ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით
შენიშვნებთან ერთად.

შპს სტაილ ტივი

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები წარმოდგენილია ლარში)

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება**2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის**

	2023 წელი	2022 წელი
საოპერაციო საქმიანობა		
მომხმარებლისგან მიღებული ფულადი სახსრები	78,220	-
მომწოდებლებსა და დასაქმებულ პირებზე გაცემული ფულადი სახსრები	(55,413)	(5,343)
სესხის პროცენტის გადახდა	(1,985)	-
სხვა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	2,472	-
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	23,294	(5,343)
საინვესტიციო საქმიანობა		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(14,158)	(2,550)
ნეტო ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(14,158)	(2,550)
საფინანსო საქმიანობა		
ფულადი სახსრების შემოსვლა სესხებიდან	17,050	-
სესხის ძირის გადახდა	(25,050)	8,000
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	(8,000)	8,000
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა წლის განმავლობაში	1,136	107
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	302	195
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	1,438	302

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნას 9-23 გვერდებზე მოცემულ ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით მენიშვნებთან ერთად.

შპს სტაილ ტივი

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები წარმოდგენილია ლარში)

ფინანსური ანგარიშგების თანდართული განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შპს სტაილ ტივი (შემდგომში „კომპანია“) რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2011 წლის 29 ნოემბერს. საიდენტიფიკაციო ნომერია 404919772, იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ვაჟა ფშაველას გამზ. VII კვ., კორ. №12, ბ. №39.

კომპანიის დირექტორია გიორგი ჯაფარიძე. იგი იყო კომპანიის ერთადერთი მფლობელი, თუმცა შემდეგ შპს სტაილ ტივის მთლიანი წილი შეიძინა შპს სი კორპორეიშენ22-მა (402236932) და 2022 წლის ოქტომბრიდან აღნიშნული კომპანია გახდა 100%-იანი მესაკუთრე.

კომპანიის ეკონომიკური საქმიანობის დარგია სატელევიზიო პროგრამების შექმნისა და ტელემაუწყებლობის საქმიანობები, თუმცა ბოლო რამდენიმე წელი სტაილ ტივის ოპერაციები თითქმის შეჩერებული იყო და მის შემოსავალს მხოლოდ თავისივე გადაღებული ფილმის გაქირავება წარმოადგენდა. 2022 წლის ბოლოდან კომპანიამ აქტიურად დაიწყო მზადება ეთერში გასასვლელად. 2023 წელს მან უკვე შეძლო შემოსავლების მიღება სარეკლამო მომსახურებიდანაც.

საქმიანობის სფეროდან გამომდინარე, შპს სტაილ ტივის ოპერაციები და საქმიანობა რეგულირდება საქართველოს კომუნიკაციის ეროვნული კომისიის მიერ.

კომპანიის საოპერაციო გარემო

საქართველოს გააჩნია განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლები, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციის მაჩვენებელსა და საპროცენტო განაკვეთებს. საქართველოს იურიდიული საგადასახადო და მარეგულირებელი კანონმდებლობა ვითარდება და ექვემდებარება ხშირ ცვლილებებსა და არაერთგვაროვან ინტერპრეტაციებს. საოპერაციო გარემოს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის საქმიანობასა და ფინანსურ მდგომარეობაზე. საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

ხელმძღვანელობას არ აქვს საშუალება ზუსტად იწინასწარმეტყველოს მოვლენათა ყველა შესაძლო განვითარება, რომელსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად, კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე.

2. მომზადების საფუძველი

განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება არის პირველი ფინანსური ანგარიშგება შპს სტაილ ტივისთვის, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჟოს (ბასსს) მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მცირე და საშუალო საწარმოებისთვის („მსს ფასს“) და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.

კომპანიის მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2022 წლის 1 იანვარი. გარკვეული გამოწვევების გარდა, ფასს 1-ით მოითხოვება 2023 წლის 31 დეკემბერს მოქმედი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების რეტროსპექტიული გამოყენება საწყისი, მსს ფასს-თან შესაბამისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისთვის 2022 წლის 1 იანვრისთვის და მომდევნო ყველა პერიოდში, რომელიც წარმოდგენილია მსს ფასს-თან შესაბამისად მომზადებულ თავის პირველ ფინანსურ ანგარიშგებაში.

მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა ზოგიერთი ფინანსური ინსტრუმენტისა, რომლებიც ასახულია მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე დისკოტირებული ღირებულებით. თითოეული კატეგორიის აქტივისა და ვალდებულების შეფასებასთან დაკავშირებული დეტალები იხილეთ შესაბამის განმარტებით შენიშვნებში.

მპს სტაილ ტივი

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები წარმოდგენილია ლარში)

საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი ყველაზე უკეთ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და კომპანიის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში. ყველა ფინანსური მონაცემი წარმოდგენილი ლარებში დამრგვალებულია უახლოეს ლარამდე.

3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა

ზოგადი პირობები

მსს ფასს-ის პირველად გამოყენება

ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღამდე კომპანიას არ მოეთხოვებოდა ფინანსური ანგარიშგების მომზადება და მას წარსულში არმოუზადებია ფინანსური ანგარიშგება. ამიტომ, შეჯერება და იმის ახსნა, თუ როგორი გავლენა მოახდინა ბუღალტრული აღრიცხვის აღრინდელი საფუძვლებიდან მსს ფასს-ზე გადასვლამ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე, საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებზე, წარმოდგენილი არ არის ამ ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფასს 1-ით მოითხოვება ფასს-ზე გადასვლის თარიღით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების წარდგენა და მოიცავს გარკვეულ სავალდებულო გამონაკლისებსა და ფასს-ის რეტროსპექტიული გამოყენებიდან ნებაყოფლობით გათავისუფლებებს. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიამ გამოიყენა სავალდებულო გამონაკლისები და გადაწყვიტა არ გამოეყენებინა ნებაყოფლობითი გათავისუფლება.

ქვემოთ წარმოდგენილია სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ცალკეული ფინანსური ანგარიშგებების მომზადებაში. აღნიშნული პოლიტიკის გამოყენება მოხდა თანმიმდევრულად ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (მსს ფასს), რომლებიც მოქმედია 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისთვის გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა წარმოდგენილია ქვემოთ.

უცხოური ვალუტა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისათვის, საანგარიშგებო ვალუტისაგან (ლარი) განსხვავებულ, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით, რომელიც 2023 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.6894 ლარს და ერთი ევროსათვის შეადგენს 2.9753 (2022 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 3.7020 ლარი, ერთი ევრო 3.8844 ლარი), არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლო კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ოპერაციის განხორციელების დღის კურსით), გარდა რეალური ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი რეალური ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტები - ძირითადი შეფასების პირობები

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება, შეფასება და აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ სახელმეკრულებო ურთიერთობის მონაწილე. ფინანსური აქტივების აღიარება წყდება, როდესაც ფინანსური სარგებლის მიღების სახელმეკრულებო უფლება ამოიწურება, ან, როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკის მნიშვნელოვანი წილი გადადის სხვა მხარეზე. ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება, როდესაც ის შესრულებულია, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

მპს სტაილ ტივი

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები წარმოდგენილია ლარში)

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და თავდაპირველი შეფასება

იმ სავაჭრო მოთხოვნების გარდა, რომლებიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს დაშეფასებულია გარიგების ფასად ფასს 15-ის მიხედვით, ყველა ფინანსური აქტივი თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით დაკორექტირებული გარიგების დანახარჯებით (სადაც შესაბამისია).

აღიარების შემდგომი შეფასების მიზნებისათვის ფინანსური აქტივები გარდა ჰეჯირების ინსტრუმენტებისა, დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- ამორტიზებული ხარჯი
- რეალური ღირებულება მოგება- ზარალში ასახვით (FVTPL)
- რეალური ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI).

კლასიფიკაცია განსაზღვრულია ორივე კრიტერიუმით:

- კომპანიის ბიზნეს მოდელი გამოყენებული ფინანსური აქტივის მართვისთვის
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები.

ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ყველა შემოსავალი და ხარჯი, რომელიც აღიარებულია მოგებაში ან ზარალში წარმოდგენილია ფინანსური ხარჯით, ფინანსური შემოსავლით ან სხვა ფინანსური ინსტრუმენტით, გარდა სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებისა, რომლებიც წარმოდგენილია სხვა ხარჯების სახით.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება -ამორტიზირებული ღირებულებით შეფასება

ფინანსური აქტივები შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით თუ აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს (და არ არის აღნიშნული როგორც FVTPL):

- კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივებს ისეთი ბიზნეს მოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდისას.

ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დისკონტირება უგულებელყოფილია, სადაც დისკონტირებას არამატერიალური ეფექტი აქვს. კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ფინანსური ინსტრუმენტების ამ კატეგორიას მიეკუთვნება.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფასს 9-ის მოთხოვნები იყენებს უფრო მეტად საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარებისას – „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელი“ (ECL). ფასს 9-ის მოთხოვნების ფარგლებში შემავალი ინსტრუმენტები მოიცავს სესხებს და სხვა ვალის ტიპის ფინანსურ აქტივებს, რომლებიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით და რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI), სავაჭრო მოთხოვნებს, სახელშეკრულებო აქტივებს, რომლებიც აღიარებული და შეფასებულია ფასს 15-ის მიხედვით და სესხის გაცემის ვალდებულებას და ზოგიერთი ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებს (ემიტენტისთვის), რომლებიც არ არიან შეფასებული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით

კომპანია საკრედიტო რისკის შეფასებისას და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაზომვისას ითვალისწინებს ინფორმაციის უფრო ფართო სპექტრს, მათ შორის წარსულში მომხდარ მოვლენებს, მიმდინარე პირობებს, გონივრულ და დასაბუთებულ პროგნოზებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ინსტრუმენტის მომავალი ფულადი ნაკადების მოსალოდნელ შეგროვებაზე. კომპანია იყენებს IFRS 9-ის გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაზომვისას, რომელიც იყენებს სიცოცხლის განმავლობაში მოსალოდნელი ზარალის რეზერვს ყველა სავაჭრო დებიტორზე. მოსალოდნელი ზარალის განაკვეთები ეფუძნება გაყიდვების გადახდის პროფილებს ბოლო 12 თვის განმავლობაში და შესაბამისი ისტორიული საკრედიტო ზარალის მიხედვით, რომელიც განიცადა ამ პერიოდში. ისტორიული ზარალის კოეფიციენტები მორგებულია იმისთვის, რომ ასახავდეს მიმდინარე და მომავალზე ორიენტირებულ ინფორმაციას მაკროეკონომიკურ ფაქტორებზე, რომლებიც გავლენას ახდენენ კლიენტების უნარზე დებიტორული დავალიანების გადახდის მიზნით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანია იყენებს გამარტივებული მიდგომას სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ანგარიშგების დროს და აღრიცხავს ზარალის რეზერვის თანხას, როგორც ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალად. ეს არის მოსალოდნელი დეფიციტი სახელშეკრულებო ფულად ნაკადებში, რომელიც ითვლისწინებს პოტენციურ ვალდებულების შეუსრულებლობას ფინანსური აქტივის არსებობისას ნებისმიერ დროს. ანგარიშის

მპს სტაილ ტივი

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები წარმოდგენილია ლარში)

დროს, კომპანია იყენებს თავის ისტორიულ გამოცდილებას, გარე ფაქტორებს და საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანგარიშის დროს ინდივიდუალურად, დებიტორის მიხედვით.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები ძირითადად მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

სასესხო ვალდებულებები

სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, სესხთან დაკავშირებული გაცემის ხარჯების გამოკლებით. სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სესხი აღებულია დამფუძნებლებისგან. ასეთ შემთხვევაში, ეს სხვაობა აისახება კაპიტალში, როგორც დამატებითი კაპიტალი. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ხოლო სხვაობა თვითღირებულებასა და გამოსყიდვის ღირებულებას შორის აისახება მოგებაში ან ზარალში, სესხების პერიოდის განმავლობაში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. პროცენტები და სხვა ხარჯები, რომლებიც გაწეულია სესხებზე, მიეკუთვნება ფინანსურ ხარჯებს, გარდა იმ სესხის ხარჯებისა, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება შესყიდვებს, მშენებლობას, ან განსაკუთრებული აქტივის შექმნას. ასეთი ხარჯები პირდაპირ აქტივის თვითღირებულებაზე კაპიტალიზირდება.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომში ისინი წარედგინება ამორტიზირებული ღირებულებით

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს ეროვნულ და უცხო ვალუტაში. ფული და ფულადი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვტა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება. ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვტა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშნები. თუ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი, ხდება ძირითადი საშუალებების ჩამოფასება უმაღლესი თანხით შემდეგ ორს შორის: გამოყენების ღირებულება და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები. საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალზე. წინა პერიოდში აღიარებული აქტივის გაუფასურების დანაკარგი გაიქვითება, თუკი მოხდება აქტივის გამოყენების ღირებულების ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯების ღირებულების გამოსათვლელად საჭირო დამხმარების ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

პერიოდის ცვტის ხარჯი

ცვტის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ცვტის წრფივად დარიცხვის მეთოდით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვტის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. კომპანიის საადრიცხო პოლიტიკა ითვალისწინებს ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების შემდეგ ვადებს:

მანქანა-დანადგარები - 5 წელი

ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი- 3-5 წელი

არამატერიალური აქტივი შემცირებადი ნაშთის მეთოდით აღირიცხება და წლიურად ერიცხება 15% ამორტიზაცია.

გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით, საიდანაც გამოუქვითავია გაუფასურების რეზერვი. გადახდილი ავანსი მიმდინარედ აისახება, როცა გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის ვადაში ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც თვდაპირველი აღიარებისას მიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი კომპანია ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს.

სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. თუ არსებობს იმის ნიშნები, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება შეიძლება არ მოხდეს, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აისახება წლის მოგება-ზარალში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო დავალიანება წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

შემოსავალი

შემოსავლის აღიარება

კომპანიის შემოსავალი ძირითადად წარმოიქმნება მიწოდებული მომსახურებიდან, რაც წარმოადგენს სარეკლამო მომსახურებით მიღებულ შემოსავლებს. იმისათვის, რომ შემოსავალი იქნეს აღიარებული უნდა შეასრულდეს ხუთსაფეხურიანი პროცესი:

1. მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიკაცია
2. შესასრულებელი ვალდებულებების იდენტიფიკაცია
3. გარიგების ფასის განსაზღვრა
4. გარიგების ფასის განაწილება შესასრულებელ ვალდებულებაზე
5. შემოსავლის აღიარება, როდესაც ნაკისრი ვალდებულება შესრულდება

შემოსავლების აღიარება ხდება იმ დროს ან დროის განმავლობაში, როდესაც (ან როგორც) კომპანია დააკმაყოფილებს შესასრულებელ ვალდებულებას დაპირებული მომსახურების გადაცემით. შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი იზომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით და მცირდება მოსალოდნელი ფასდათმობისა და სხვა მსგავსი შეღავათების საფუძველზე.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევნ შესაბამის მომსახურებას, მოიცავს:

- (ა) ხელფასებს, ანაზღაურებებსა და პრემიებს;
- (ბ) წლიურ ფასიან შვებულებებს და ბიულეტენის ანაზღაურებებს;

თუ დაქირავებულმა პირმა რომელიმე საადრიცხო პერიოდში საწარმოს გაუწია მომსახურება, დაქირავებული პირის მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული ოდენობა, რომელიც გადასახდელია ამ მომსახურებისთვის, საწარმომ უნდა აღიაროს:

- (ა) როგორც ვალდებულება (დარიცხული ხარჯი) ნებისმიერი, უკვე გადახდილი თანხის გამოკლების შემდეგ. თუ უკვე გადახდილი თანხა აღემატება გასამრჯელოს არადისკონტირებულ ღირებულებას, ნამეტი თანხა უნდა აღიარდეს აქტივად (წინასწარ გაწეულ ხარჯად) იმ ოდენობით, რა ოდენობითაც წინასწარგადახდა უზრუნველყოფს მომავალში გადასახდელების შემცირებას ან ფულადი სახსრების უკან დაბრუნებას.
- (ბ) როგორც ხარჯი, თუკი მისი ოდენობა არ არის ჩართული აქტივის თვითღირებულებაში.

მპს სტაილ ტივი

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები წარმოდგენილია ლარში)

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვევო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

პრემიები

გადასახდელი პრემიების მოსალოდნელი ხარჯი აღიარდება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ წარსული მოვლენის შედეგად კომპანიას აქვს ზემოაღნიშნული გასამრჯელოების გადახდის მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება და შესაძლებელია ვალდებულების საიმედოდ შეფასება. მიმდინარე ვალდებულება მხოლოდ მაშინ არსებობს, როდესაც საწარმოს არა აქვს სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა იმისა, რომ გადაიხადოს ეს გასამრჯელოები.

ხარჯები

ორგანიზაცია ხარჯების აღირიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში, როდესაც ორგანიზაციას წარმოუქმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ. საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯების ძირითადი ნაწილი მოიცავს ხელფასს, ცვეთას და სხვა ადმინისტრაციულ ხარჯს, რომელშიც გაერთიანებულია საოპერაციო საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები.

4. ახალი და შესწორებული სტანდარტები

მიმდინარე წელს გამოიცა ახალი და შესწორდა ქვემოთ განხილული შემდეგი სტანდარტები:

- ფასს 17 - „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ - (გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს, ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვარს, ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის),
- შესწორებები ფასს 17-სთვის და შესწორება ფასს 4-სთვის (გამოცემულია 2020 წლის 25 ივნისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
- გადასვლის ოფციონი მზღვევულებისთვის, რომლებიც იყენებენ ფასს 17-ს – ცვლილებები ფასს 17-ში (გამოცემულია 2021 წლის 9 დეკემბერს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
- მსს ფასს-ის პრაქტიკულ დებულება 2-ში შეტანილი ცვლილებები: სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებზე).

ბასს 1-ში შეტანილია ცვლილებები, რათა კომპანიებს მოეთხოვოთ განმარტონ თავიანთი არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია და არა მათი მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა. შესწორებით გათვალისწინებული იქნა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის განსაზღვრება. შესწორებით ასევე განმარტეს, რომ სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია, სავარაუდოდ, არსებითი იქნება, თუ მის გარეშე, ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს არ შეუძლებათ გაეცნონ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ სხვა არსებით ინფორმაციას. შესწორებამ წარმოადგინა სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის საილუსტრაციო მაგალითები, რომლებიც, სავარაუდოდ, არსებითად ჩაითვლება საწარმოს ფინანსური ანგარიშგებისათვის. გარდა ამისა, ბასს 1-ში შესწორებით დაზუსტდა, რომ არაარსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება საჭირო არ არის. ამასთან, თუ იგი გამჟღავნდა, ეს არ უნდა ფარავდეს არსებით ინფორმაციას სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ. ამ შესწორების მხარდასაჭერად, ფასს - ის პრაქტიკული დებულება 2, „არსებითობის განსჯის განხორციელება“ ასევე შეიცვალა, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო სახელმძღვანელო მითითებები, თუ როგორ უნდა გამოყენებულიყო არსებითობის კონცეფცია სააღრიცხვო პოლიტიკის გამჟღავნებისას.

- ბასს 8-ში შესწორებები: სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ).
- გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია ერთი გარიგებიდან წარმოქმნილ აქტივებთან და ვალდებულებებთან- შესწორებები ბასს 12-სთვის (გამოცემულია 2021 წლის 7 მაისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს, ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

შპს სტაილ ტივი

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები წარმოდგენილია ლარში)

- ბასს 12 „მოგების გადასახადები“ - შესწორებები: საერთაშორისო საგადასახადო რეფორმა – მეორე კომპონენტის სამოდელო წესები (გამოცემულია 2023 წლის 23 მაისი)

კომპანია არ მოეწოდებს მატერიალური გავლენა ექნება მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები

ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა მიღება სავალდებულოა 2024 წლის 1 იანვარს ან შემდეგ პერიოდებში და რომლებიც კომპანიას ნაადრევად არ გამოუყენებია, არის შემდეგი:

- შესწორებები ფასს 16-ში: იჯარა: იჯარის ვალდებულება გაყიდვასა და უკუიჯარაში (გამოცემულია 2022 წლის 22 სექტემბერს და ძალაშია 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის);
- ვალდებულებების გრძელვადიანად და მოკლევადიანად კლასიფიკაცია, ბასს 1-ის შესწორებები (თავდაპირველად გამოცემულია 2020 წლის 23 იანვარს და შემდგომში შესწორებულია 2020 წლის 15 ივლისს და 2022 წლის 31 ოქტომბერს, საბოლოოდ ძალაში შედის წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ.);
- ბასს 7-ის „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“ და ფასს 7-ის „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“ შესწორებები: მიმწოდებლის საფინანსო შეთანხმებები (გამოცემულია 2023 წლის 25 მაისს და ძალაშია 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის);
- შესწორებები ბასს 21-ში, ვალუტის გაცვლის შესაძლებლობის ნაკლებობა (გამოცემულია 2023 წლის 15 აგვისტოს და ძალაშია 2025 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
- ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს, ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების გაყიდვა, ან შეტანა - ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს და ძალაში შესვლის თარიღი არ არის ცნობილი).

თუ ეს სხვაგვარად არ არის აღწერილი, მოსალოდნელი არ არის, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას იქონიებენ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შპს სტაილ ტივი

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები წარმოდგენილია ლარში)

5. ძირითადი საშუალებები

	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	სულ
ღირებულება			
ბალანსი 1-იან-2022	-	-	-
შეძენა	-	2,550	2,550
გასვლა	-	-	-
ბალანსი 31-დეკ-2022	-	2,550	2,550
შეძენა	7,223	6,935	14,158
გასვლა	-	-	-
ბალანსი 31-დეკ-2023	7,223	9,485	16,708
აკუმულირებული ცვეთა			
ბალანსი 1-იან-2022	-	-	-
ცვეთის ხარჯი	-	-	-
ცვეთა გასულ აქტივებზე	-	-	-
ბალანსი 31-დეკ-2022	-	-	-
ცვეთის ხარჯი	(651)	(1,449)	(2,100)
ცვეთა გასულ აქტივებზე	-	-	-
ბალანსი 31-დეკ-2023	(651)	(1,449)	(2,100)
ნარჩენი ღირებულება			
ბალანსი 1-იან-2022	-	-	-
ბალანსი 31-დეკ-2022	-	2,550	2,550
ბალანსი 31-დეკ-2023	6,572	8,036	14,608

კომპანიის ძირითად საშუალებებს 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრისთვის უმეტესწილად წარმოადგენს ვიდეო და აუდიო აპარატურა, კავშირგაბმულობის მოწყობილობები და ავეჯი.
შპს სტაილ ტივის არცერთი ძირითადი საშუალება არაა დატვირთული გირაოთი.

6. არამატერიალური აქტივი

	არამატერიალური აქტივები	სულ
ღირებულება		
ბალანსი 1-იან-2022	124,398	124,398
შეძენა	-	-
გასვლა	-	-
ბალანსი 31-დეკ-2022	124,398	124,398
შეძენა	-	-
გასვლა	-	-
ბალანსი 31-დეკ-2023	124,398	124,398
აკუმულირებული ამორტიზაცია		
ბალანსი 1-იან-2022	(98,227)	(98,227)
ამორტიზაციის ხარჯი	(4,441)	(4,441)
ამორტიზაცია გასულ აქტივებზე	-	-
ბალანსი 31-დეკ-2022	(102,668)	(102,668)
ამორტიზაციის ხარჯი	(3,772)	(3,772)
ამორტიზაცია გასულ აქტივებზე	-	-
ბალანსი 31-დეკ-2023	(106,440)	(106,440)

შპს სტაილ ტივი

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები წარმოდგენილია ლარში)

ნარჩენი ღირებულება

ბალანსი 1-იან-2022	26,171	26,171
ბალანსი 31-დეკ-2022	21,730	21,730
ბალანსი 31-დეკ-2023	17,958	17,958

არამატერიალური აქტივი წარმოადგენს 2013 წელს გადაღებულ ფილმს.

7. საგადასახადო აქტივი

საქმიანობიდან გამომდინარე, 2023 და 2022 წლებში კომპანია იხდიდა დღგ-ს, საშემოსავლოსა და ქონების გადასახადებს. 2023 წლის ივლისში კომპანიამ გაწია წარმომადგენლობითი ხარჯი და, ვინაიდან 2022 წელს წარმომადგენლობითი ხარჯი არ ჰქონდა, მთლიანი თანხა დაიბეგრა მოგების გადასახადით.

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31-დეკ-2023	31-დეკ-2022	1-იან-2022
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	17,618	2,127	2,127
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	496	-	2
	18,114	2,127	2,129
საექვო მოთხოვნების ანარიცხები	(2,127)	(2,127)	(2,127)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15,987	-	2

ყველა თანხა არის მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნა და წმინდა საბალანსო ღირებულება შეესაბამება სამართლიან ღირებულებას.

9. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31-დეკ-2023	31-დეკ-2022	1-იან-2022
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1,438	302	195
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	1,438	302	195

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც ურისკო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არიან სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

10. საკუთარი კაპიტალი და რეზერვები

შპს სტაილ ტივის საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 4,500 ლარს 2022 წლის 1-ლი იანვრისთვის, 2022 წლის 31 დეკემბრისთვის და 2023 წლის 31 დეკემბრისთვის. კომპანია 2022 წელს გავიდა 10,420 ლარიან ზარალზე, რამაც გაუნაწილებელი მოგება შეამცირა 29,357 ლარიდან 18,937 ლარამდე, ხოლო კომპანიამ 5,835 ლარის დაგროვილ ზარალი აჩვენა მას შემდეგ, რაც 2023 წელს 24,772 ლარის პერიოდის ზარალი მიიღო.

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31-დეკ-2023	31-დეკ-2022	1-იან-2022
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	52,248	1,442	-
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	52,248	1,442	-

სავაჭრო ვალდებულებას წარმოადგენს შრომის ანაზღაურება, იჯარა, კომუნალური და სხვა ვალდებულებები.

შპს სტაილ ტივი

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები წარმოდგენილია ლარში)

12. სესხები

	მოკლევადიანი სესხები	გრძელვადიანი სესხები	სულ
2022 წლის 1-ლი იანვარი	-	-	-
ფულადი ნაკადების მოძრაობა			
სესხის აღება	-	8,000	8,000
სესხის დაფარვა	-	-	-
გადახდილი პროცენტი	-	-	-
არაფულადი ნაკადების მოძრაობა			
დარიცხული პროცენტი	128	-	128
რეკლასიფიკაცია	-	-	-
2022 წლის 31 დეკემბერი	128	8,000	8,128
ფულადი ნაკადების მოძრაობა			
სესხის აღება	-	17,050	17,050
სესხის დაფარვა	-	(25,050)	(25,050)
გადახდილი პროცენტი	(1,985)	-	(1,985)
არაფულადი ნაკადების მოძრაობა			
დარიცხული პროცენტი	1,857	-	1,857
რეკლასიფიკაცია	-	-	-
2023 წლის 31 დეკემბერი	-	-	-

2022 წლის ნოემბერში შპს სტაილ ტივიმ გააფორმა საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება შპს სი კორპორეშენ22-თან. სასესხო ხელშეკრულების მთლიანი თანხაა 200,000 ლარი, სესხის ვადაა 60 თვე და ერიცხება წლიური 14%, რაც შეესაბამება იმ დროისთვის არსებულ საბაზრო განაკვეთებს იურიდიულ პირზე ლარში გაცემულ სესხებზე.

13. შემოსავალი

	2023 წელი	2022 წელი
შემოსავალი მომსახურებიდან	90,048	-
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	90,048	-

2023 წელს კომპანიის შემოსავლის წყაროს წარმოადგენს სარეკლამო მომსახურება. მისი უმსხვილესი ხუთი კლიენტის საერთო წილი მთლიან შემოსავლებში არის 77%.

14. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2023 წელი	2022 წელი
ცვეთა და ამორტიზაცია	(5,872)	(4,441)
სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(5,872)	(4,441)

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება მოიცავს არამატერიალური აქტივის ამორტიზაციასა და ძირითადი საშუალებების ცვეთას, რომლებიც გამოიყენება ეთერში გასვლისთვის და შემოსავლის გენერირებისთვის.

15. კომერციული დანახარჯები

	2023 წელი	2022 წელი
რეკლამის ხარჯები	(2,692)	-
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	(2,692)	-

კომერციული დანახარჯები 2023 წელს მოიცავს კლიენტების მოძიების საფასურს.

შპს სტაილ ტივი

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები წარმოდგენილია ლარში)

16. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2023 წელი	2022 წელი
საკონსულტაციო ხარჯები	(24,202)	(1,695)
კონტენტის იჯარა	(20,539)	(547)
შრომის ანაზღაურება	(20,475)	-
კომუნიკაციის ხარჯები	(14,336)	(2,464)
ტექნიკის იჯრა	(12,864)	(519)
ადმინისტრაციული ხარჯი	(5,547)	-
საიჯარო ქირა	(3,915)	(158)
კომპიუტერის ხარჯები	(450)	(144)
სოციალური დანარიცხები	(240)	-
საგადასახადო ხარჯი	(86)	(13)
სხვა ხარჯები	(590)	(311)
სულ ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები	(103,244)	(5,851)

17. მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები და მსჯელობები

დაშვებები და მსჯელობები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას, ამასთან გაითვალისწინება სხვა ფაქტორებიც, როგორებიც არის მომავალი მოვლენების განვითარებასთან დაკავშირებული მოლოდინები, რომლებიც კონკრეტულ სიტუაციაში გონივრულად მიიჩნევა.

17.1 მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები

კომპანია შეფასებებს აკეთებს სამომავლო ფაქტორების გათვალისწინებით. მიღებული სააღრიცხვო შეფასებები, შესაძლოა განსხვავებული იყოს რეალურ შედეგისაგან. შეფასებები და დაშვებები, რომლებიც შეიცავს მნიშვნელოვან რისკს სამომავლოდ აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების კორექტირების საჭიროებისა, განხილულია ქვემოთ:

ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო ვადები

ხელმძღვანელობამ შეაფასა ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის ხანგრძლივობა. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ეს შეფასებები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ამ აქტივების ეკონომიკური მომსახურების ვადის ხანგრძლივობისგან. თუ რეალური სასარგებლო მომსახურების ვადა განსხვავდება ამ შეფასებებისგან, მაშინ ფინანსური ანგარიშგებები არსებითად განსხვავებული იქნება.

უიმედო ვალეები

კომპანია აფასებს სავაჭრო მოთხოვნების ამოღების შესაძლებლობას თავის გამოცდილებისა და მომავალ მოლოდინებზე დაყრდნობით. რეალური ამოღების მონაცემები მოთხოვნებისთვის შესაძლოა განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისგან.

17.2 ძირითადი დაშვებები მომავალთან დაკავშირებით და ფუნქციონირებადობა

2023 და 2022 წლის ფინანსური შედეგების განხილვასთან ერთად აუცილებელია მოხდეს კომპანიის მიზნების განხილვა, რაც მდგომარეობს შემდეგში - შპს სტაილ ტივის რამდენიმე წელი თითქმის არ ჰქონია ოპერაციები და ახლა იწყებს მზადებას სრული დატვირთვით სამუშაოდ. კომპანიის ხელმძღვანელობის მიზანია, გააძლიეროს კომპანია და გაზარდოს ოპერაციები. აქედან გამომდინარე, ეს ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია მოქმედი საწარმოს პრინციპის საფუძველზე.

18. ფინანსური ინსტრუმენტები

18.1 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის დეტალები და განხორციელების მეთოდები, მათ შორის აღიარების კრიტერიუმები და საფუძველი, რომლის მიხედვითაც ხდება შემოსავლის თუ ხარჯის აღიარება, თითოეული

შპს სტაილ ტივი

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები წარმოდგენილია ლარში)

კლასის ფინანსური აქტივის, ვალდებულების და კაპიტალის ინსტრუმენტის შესაბამისად, წარმოდგენილია შენიშვნა 3-ში.

18.2 ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები საბალანსო ღირებულებით კატეგორიების მიხედვით:

ფინანსური აქტივები ამორტიზებული ღირებულებით	31-დეკ-2023	31-დეკ-2022	1-იან-2022
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15,491	-	-
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	1,438	302	195
სულ ფინანსური აქტივები	16,929	302	195
ფინანსური ვალდებულებები ამორტიზებული ღირებულებით	31-დეკ-2023	31-დეკ-2022	1-იან-2022
სესხები	-	8,128	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	52,248	1,442	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	52,248	9,570	-
წმინდა პოზიცია	(35,319)	(9,268)	195

19. ფინანსური რისკის მართვა

კომპანია ექვემდებარება სხვადასხვა რისკებს ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით. ძირითადი რისკების ტიპებია: საბაზრო (სავალუტო), საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკები, რომლებიც აღწერილია ქვემოთ.

ფინანსური რისკის ფაქტორები

საბაზრო რისკი

კომპანია არ არის დაცული საბაზრო რისკისაგან ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების გამო და კონკრეტულად სავალუტო, საპროცენტო განაკვეთისა და სხვა ფასთან დაკავშირებული რისკისაგან, რომელიც გამოწვეულია, როგორც საოპერაციო აგრეთვე, საინვესტიციო საქმიანობიდან.

უცხოური ვალუტის რისკი

კომპანია არ განახორციელებს უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს. აქედან გამომდინარე, არ წარმოიშობა სავალუტო კურსის მერყეობასთან დაკავშირებული რისკი 2022-2023 წლებში.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას, რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც კომპანია მიიღებს ფინანსურ ზარალს. კომპანია განიცდის საკრედიტო რისკს ფინანსური აქტივებისგან, რომლებიც მოიცავენ ფულს ხელზე და საბანკო ანგარიშებზე, ასევე სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს.

	31-დეკ-2023	31-დეკ-2022	1-იან-2022
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15,491	-	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,438	302	195
სულ საკრედიტო რისკის მაქსიმალური მოცულობა	16,929	302	195

საკრედიტო რისკის მართვა კომპანიის მიზნებისთვის ხდება თავის საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკასა და პროცედურებზე დაყრდნობით. რისკების მართვის მიზნით კომპანია ნაღდ ფულს კარგი

მპს სტაილ ტივი

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები წარმოდგენილია ლარში)

რეპუტაციის მქონე ფინანსურ ინსტიტუტებში განათავსებს. კომპანია მუდმივად აკვირდება კლიენტთა კრედიტუნარიანობას.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დროულად დაფაროს ვადა- დამდგარი ვალდებულებები. კომპანია ახორციელებს ფრთხილ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალ ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა მან დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასესხო ვალდებულება. 2023 წლის და 2022 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიას ჰქონდა 0-6 თვემდე დასაფარი სავაჭრო და საგადასახადო ვალდებულებები, რომლებსაც არ ერიცხებოდა პროცენტი. იხ. შენიშვნა 11. 2022 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიას ათვისებული ჰქონდა 8,128 ლარის საკრედიტო ხაზიდან, რაც დაფარა 2023 წლის განმავლობაში და წლის ბოლოსთვის სასესხო ვალდებულება არ აქვს.

20. გაუთვალისწინებელი გარემოებები

20.1 ბიზნეს გარემო

საქართველო განაგრძობს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცვლილებებს. როგორც განვითარებადი ბაზარი, საქართველო არ ფლობს განვითარებულ ბიზნეს და მარეგულირებელ ინფრასტრუქტურას, რომელიც ძირითადად დამახასიათებელია უფრო თავისუფალი საბაზრო ეკონომიკისათვის. უფრო მეტიც, ეკონომიკური მდგომარეობა ზღუდავს საქმიანობის მოცულობას ფინანსურ ბაზრებზე, რომელიც შეიძლება არ იყოს ასახული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებებზე. შემდგომი ეკონომიკური განვითარების მთავარი დაბრკოლებაა ცენტალიზებულ ეკონომიკურ სტრუქტურასთან, რეგიონალურ არასტაბილურობასა და ეკონომიკურ კრიზისთან ერთად ეკონომიკისა და ინსტიტუციონალური განვითარების დაბალი დონე.

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ მიმდინარე პირობებში სათანადო ზომები ხორციელდება კომპანიის ეკონომიკური სტაბილურობის შესანარჩუნებლად.

20.2 კაპიტალის რისკის მენეჯმენტი

კომპანია მართავს კაპიტალს ისე, რომ მას შეუძლია განაგრძოს მუშაობა და უზრუნველყოს კომპანიაში დასაქმებულთა ანაზღაურება.

კომპანიის მენეჯმენტი აფასებს კომპანიის კაპიტალის მოთხოვნებს, რათა შეინარჩუნოს ეფექტური დაფინანსების საერთო სტრუქტურა და ამავდროულად თავიდან აიცილოს ზედმეტი ნასესხები სახსრების დამოკიდებულება. ეს ანალიზი ითვალისწინებს კომპანიის სხვადასხვა დონის სესხებს. კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას და ახორციელებს ეს სტრუქტურა ცვლის ეკონომიკურ პირობებს და რისკის მახასიათებლებს ძირითადი საშუალებების დამახასიათებელი ცვლილებების გათვალისწინებით.

კაპიტალის სტრუქტურის კორექტირების მიზნით, კომპანიას შეუძლია შეცვალოს დივიდენდების განაწილების ოდენობა ან გაყიდოს აქტივები სესხების დასაფარად (თუ მომავალში აიღებს სასესხო ვალდებულებას).

თანხები, რომლებსაც კომპანია აღრიცხავს კაპიტალში წლის ბოლოს, შეჯამებულია შემდეგნაირად:

	31-დეკ-2023	31-დეკ-2022	1-იან-2022
მთლიანი კაპიტალი	(1,335)	23,437	33,857
გამოკლებული: ფული და ფულის ეკვივალენტები	(1,438)	(302)	(195)
კაპიტალი	(2,773)	23,135	33,662
მთლიანი კაპიტალი	(1,335)	23,437	33,857
სესხები	-	8,128	-
სრული მოზიდული სახსრები	(1,335)	31,565	33,857
კაპიტალის თანაფარდობა სრულ მოზიდულ სახსრებთან	2.08	0.73	0.99

მპს სტაილ ტივი

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები წარმოდგენილია ლარში)

20.3 სასამართლო დავები

კომპანიას არ გააჩნია სხვა სახის პირობითი ვალდებულება, რომელიც დაკავშირებული იქნებოდა ხელშეკრულების რაიმე სადავო საკითხებთან.

კომპანიის მენეჯმენტი არ ფლობს სხვა ინფორმაციას მოსალოდნელ პრეტენზიებთან დაკავშირებით, რომელმაც შესაძლოა წარმოქმნას სასამართლო დავა და გავლენა მოახდინოს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

20.4 გადასახადები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვლადობებით, რომლებიც ხშირად ხდება ინერპრეტაციების საგანი. ხშირად განსხვავებული ინტერპრეტაციები არსებობს სხვადასხვა საგადასახადო ორგანოსა და იურისდიქციებში. გადასახადები

საგადასახადო ორგანოების მხრიდან ექვემდებარება განხილვას და შემოწმებას, რომელიც წარმოშობს კანონით გათვალისწინებულ მძიმე ჯარიმებსა და საურავებს.

ამ ფაქტორებმა შესაძლოა წარმოშვას საგადასახადო რისკი საქართველოში, არსებითად უფრო მეტად ვიდრე სხვა განვითარებულ ქვეყნებში. მენეჯმენტს სჯერა, რომ საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციის საფუძველზე საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ადეკვატურად არის განსაზღვრული. თუმცა, შესაბამის ორგანოებს შესაძლოა ჰქონდეთ განსხვავებული ინტერპრეტაციები და ეფექტი შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი.

21. დაკავშირებული მხარეები

მხარეები ან ოპერაციები ორ მხარეს შორის, როგორც განსაზღვრულია მსს ფასს მოდული 33-ის მიხედვით, ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის. დაკავშირებულ მხარეებთან დადებული ყველა გარიგება, რომელიც ქვემოთ არის განხილული, განხორციელდა გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით.

- (a) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავალის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამშრომლები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- (b) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.
- (c) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- (d) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- (e) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (a) ან (d)-ში;
- (f) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (d) ან (e)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.
- (g) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

თითოეული დაკავშირებული მხარის განხილვისას, ყურადღება ეთმობა კავშირის არსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას.

შპს სტაილ ტივი

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები წარმოდგენილია ლარში)

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება

2023 და 2022 წლების განმავლობაში არ გაცემულა მფლობელებზე დივიდენდი, ხოლო ხელმძღვანელობაში ჩართული დირექტორის მიერ მიღებული ანაზღაურების დეტალები, რომელიც ასევე წარმოადგენს თანამშრომელთა ანაზღაურების თანხის ნაწილს, მოცემულია ქვემოთ:

	2023 წელი	2022 წელი
ხელფასები	7,500	-
პრემია	975	-
	8,475	-

შპს სტაილ ტივის 2022-2023 წლებში ქჰონდა სესხი მხოლოდ ერთი კრედიტორისგან - შპს სი კორპორეიშენ22-ისგან, რომელიც ასევე არის მისი მფლობელი. დაკავშირებულ მხარესთან შესაბამისი ტრანზაქციები და ბალანსები იხ. შენიშვნა 12-ში.

22. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო წლის შემდეგ მნიშვნელოვან მოვლენას, რაც მოითხოვდა კორექტირებას ან განმარტებას ფინანსურ ანგარიშგებაში ადგილი არ ჰქონია.